F 17 898
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნ. 438
483
796 (47 922)
ეროვნული ბიბლიოთეკა
438
483

საქართველოს შევარდენთა კავშირის

წესდება

3.2017
F 17998

1. კავშირს ეწოდება: „**საქართველოს შევარდენთა კავშირი**“. მისი მოქმედების ასპარეზია მთელი საქართველო.

2. **კავშირის** მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში შევარდნულ აზრის განხორციელებას, რომელიც მიისწრაფვის საზოგადოებრივ ტანვარჯიშის ფართო გავრცელებით გააძლიეროს საქართველოს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე: აღუზარდოს საქართველოს ღირსეული მამულიშვილები, განავითაროს მათში ვაჟ-კაცობა, მედგრობა, გამბედაობა, სიმარდე და ტანის სიხარტე; აგრეთვე ჩაუნერგოს შეგნება წესმორჩილებისა, ბოვალეობისა, ძმობა ერთობა—თავისუფლებისა და გაძნობა სიმშვენიერისა.

3. აღნიშნულ მიზნის მისაღწევად **კავშირი**:

ა. აერთიანებს და აკავშირებს საქართველოს ყველა შევარდნულ საზოგადოებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ხელს უწყობს ახალ შევარდნულ საზოგადოებების დაარსებას.

გ. აწყობს შევარდენთა მოფრენებს, ყრილობებს და მოგზაურობას როგორც საქართველოში, ისე საზღვარ გარეთაც.

დ. ამყარებს და იცავს ტანვარჯიშობის თანწყობის ერთგვარობას მთელ კავშირში.

ე. მონაწილეობას იღებს სხვა ქვეყნის შევარდენთა მოფრენებში, ტანვარჯიშულ ყრილობებში და გამოსვლებში.

ვ. აარსებს და მფარველობს ტანვარჯიშულ უმაღლეს სასწავლებლებს.

ზ. ზრუნავს სასწავლებლებში ტანვარჯიშობის საჭირველ ნიადაგზე დაყენებისათვის.

თ. გამოსცემს და ავრცელებს საერთო წიგნებს და ჟურნალებს.

ი. ხელს უწყობს ქართველ ეროის სულიერ გაჯანსაღების და განმტკიცების ყოველგვარ საქმეს.

კ. უკავშირდება უცხო ქვეყნების ტანვარჯიშულ კავშირებს და საზოგადოებებს.

შენიშვნა: როგორც ქართული ორგანიზაცია ეგი სრულიად დამოუკიდებელია.

ლ. საერთოდ მიმართავს მიზნის მისაღწევ ყველა სხვა საშუალებებს.

4. **კავშირის** წევრობა შეუძლია ყველა ქართულ შევარდნულ საზოგადოებას.

5. **კავშირში** შესასვლელად საზოგადოებამ უნდა წარმოადგინოს:

ა. საზოგადო კრების დადგენილება **კავშირში** შესვლის შესახებ.

ბ. საზოგადოების წესდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ცნობები წევრთა რაოდენობაზე.

დ. მოხსენება საზოგადოების მოღვაწეობის შესახებ.

6. **კავშირის** წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ, თანახმად წესდებისა, **კავშირის** ყველა საქმეებში. საზოგადოდ ისინი სარგებლობენ ყველა უფლებებით, რომელსაც ანიჭებს მათ **კავშირის** წევრობა.

7. **კავშირის** წევრები მოვალენი არიან:

ა. მონაწილეობა მიიღონ კავშირის **საერთო ყრილობებში;**

ბ. მოფრენებში;

გ. წარმოუდგინონ **კავშირის გამგეობას** დაწვრილებითი ცნობები თავიანთ წლიურ მოღვაწეობის შესახებ.

დ. დაემორჩილონ **საერთო ყრილობების** და **კავშირის გამგეობის** ყოველ დადგენილებას.

8. საზოვადოება გამოირიცხება **კავშირიდან:**

ა. თანახმად საკუთარ სურვილისა; წერილობითი განცხადების შეტანით.

ბ. თანახმად **კავშირის გამგეობის** დადგენილებისა.

9. **კავშირის** სახსარს შეადგენს:

ა. მთავრობის მიერ გაღებული თანხები;

ბ. შემოწირულებანი;

გ. საკუთარ თანხის %—ები;

დ. სხვა წყაროები.

10. **კავშირის** თანხა განიყოფება: სათადარიგო, საწარმოვო და საგანგებო თანხებად. მათი შექმნის და დახარჯვის წესს ამტკიცებს **საერთო ყრილობა.**

11. **კავშირის** საქმეებს აწარმოებს **საერთო ყრილობა** და **კავშირის გამგეობა.**

12. **შევარდენთა კავშირის** **საერთო ყრილობა** შესდგება ყველა საზოგადოებათა წარმომადგენელთაგან, რომელნიც ირიცხებიან **კავშირის** წევრებად.

13. **საერთო ყრილობაზე** ყოველი საზოგადოება თავის წარმომადგენელს შემდეგი წესით გზავნის: საზოგადოება, რომელიც შესდგება არა უმეტეს ას წევრისაგან, გზავნის თითო სრულუფლებიან წარმომადგენელს; საზოგადოება, რომელსაც ასზე მეტი წევრი ჰყავს გზავნის ყოველ ას წევრზე თითო წარმომადგენელს, ხოლო არა უმეტეს სამ წარმომადგენელისა.

14. ყველა წარმომადგენელი უნდა იყოს არჩეული საზოგადო კრების მიერ.

15. **საერთო ყრილობები** არის მორიგი და საგანგებო. **ყრილობებს** იწვევს გამგეობა უწყებებით: **მორიგ ყრილობას** წელიწადში ერთხელ, **საგანგებოს** კი როდესაც ამას თვითონ საჭიროდ დაინახავს, ან **კავშირის** წევრთა არა ნაკლებ $^1/_3$-ის სურვილით, ან და **სამხილარო კომისიის** მოთხოვნილებით.

16. უწყებებში აღნიშნული უნდა იყოს **ყრილობის** განსახილველი საგნები. უწყებები უნდა დაიგზავნოს: **მორიგ ყრილობისთვის** არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის დაწყებამდე, **საგანგებოსთვის** კი — არა უგვიანეს ორი კვირისა.

17. **საერთო ყრილობის** გამგებლობას შეადგენს:

ა. **გამგეობის** და **სამხილარო კომისიის** არჩევა;

ბ. **გამგეობის** მოხსენებათა და ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

გ. **კავშირის** თანხების შოვნის და ხარჯვის საკითხების გადაჭრა;

დ. **კავშირის** წესდების შეცვლა;

ე. **გამგეობის** მიერ გამორიცხულ, ან არ მიღებულ წევრთა საკითხის საბოლოვო გადაჭრა;

ვ. **გამგეობისთვის** და **სამხილარო კომისიისათვის** საჭირო წესების და დებულებების დამტკიცება;

ზ. საზოგადოდ ყველა საკითხები, რომელსაც აღძრავს **გამგეობა, სამხილარო კომისია,** ან და ცალკეული წევრი. ყველა ამგვარი საკითხები უნდა ეცნობოს **გამგეობას** არა უგვიანეს ერთი თვისა ყრილობის დაწყებამდე.

18. **ყრილობის** თავმჯდომარეს ირჩევს თვით **ყრილობა.**

19. **ყრილობაზე, გამგეობის** წევრებს, აგრეთვე როგორც საზოგადოებების ყოველ წარმომადგენელს, გადამწყვეტი ხმა ეკუთნის; **გამგეობის** წევრების მოადგილეებს კი—მხოლოდ სათათბირო; გადამწყვეტი ხმის უფლება მათ ეძლევა მხოლოდ მაშინ, როდესაც **ყრილობას** არ დაესწრება **გამგეობის** რომელიმე წევრი.

20. **ყრილობა** ითვლება კანონიერად რამდენი წარმომადგენელიც არ უნდა დაესწროს. საკითხი სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. უძრავ ქონების შეძენის, ან მოხმარების საკითხი კი—დამსწრეთა $^2/_3$ ხმის უმრავლესობით.

21. **კავშირის გამგეობას** შეადგენს; **კავშირის** თავმჯდომარე, მისი ორი ამხანაგი, **კავშირის** ვარჯიშთავი, შვიდი წევრი და მათი სამი მოადგილე. ყველა მათ ირჩევს მორიგი **საერთო ყრილობა** ორი წლის ვადით **კავშირში** მყოფ საზოგადოებათა ქ. ტფილისში მობინადრე წევრებს შორის. გამგეობაში შედიან აგრეთვე, გადამწყვეტი ხმით, ვარჯიშთავის ამხანაგები და ტანვარჯიშობის ზემხედველები.

22. **კავშირის გამგეობა** ბინადრობს ქ. ტფილისში.

23. **საერთო ყრილობას** უფლება აქვს აირჩიოს **გამგეობის** მუდმივი საპატიო წევრი

24. **გამგეობა** თვითონ ირჩევს თავის წევრთა შორის თანამდებობის პირებს, გარდა იმ პირთა, რომელნიც თანახმად 21 მუხლ. არჩეული უნდა იქმნენ **საერთო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობის მიერ (ე. ი. თავმჯდომარის, მისი ორი ამხანაგის და ვარჯიშთავის).

25. **გამგეობა** ადგენს ანგარიშებს და მოხსენებებს და განაგებს **კავშირის** ყველა საქმეებს გარდა იმ საქმეებისა, რომელნიც **საერთო ყრილობას** ექვემდებარებიან.

26. **გამგეობას** ეკუთნის უფლება უძრავ ქონების შეძენის და მოხმარებისა, თანახმად **ყრილობის** დადგენილებისა.

27. **გამგეობა** არის **კავშირის** წარმომადგენელი ადმინისტრატიულ, საზოგადოებრივ და სასამართლოს დაწესებულებებში.

28. **გამგეობის** სხდომებზე, წევრებს და მათ მოადგილეებს გარდა, დასწრება შეუძლიათ იმ პირთ, რომელთაც მოიწვევს **გამგეობა**, როგორც მცოდნეებს; მათ ენიჭება სათათბირო ხმა.

შენიშვნა: ტფილისს გარეშე არსებულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს ნება აქვთ დაესწრნენ **გამგეობის** სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

20. **გამგეობის** სხდომა კანონიერად ითვლება თუ მას დაესწრო არა ნაკლებ წევრთა რიცხვის ნახევარისა.

30. **გამგეობის** არ დასწრებულ წევრთა მაგიერობას მათი მოადგილენი სწევენ, არჩევნებში მიღებულ ხმების სიმრავლის მიხედვით ამ შემთხვევაში მათ ენიჭება გადამწყვეტი ხმის უფლება, დანარჩენ შემთხვევებში კი—მხოლოდ სათათბირო.

31. **გამგეობის** სხდომებს ნიშნავს თავმჯდომარე არა ნაკლებ ვიდრე თვეში ერთხელ. ამას გარდა, თანახმად წევრთა არა ნაკლებ $^1/_3$—ის მოთხოვნილებისა, თავმჯდომარე მოვალეა დანიშნოს სხდომა 7 დღის განმავლობაში.

32. **კავშირის** თავმჯდომარე არის **კავშირის** წარმომადგენელი ყოველ საქმეში. იგი თავმჯდომარეობს **გამგეობის** სხდომებზე, თვალყურს ადევნებს, რომ **საერთო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობათა და **გამგეობის** დადგენილებანი სისრულეში იყოს მოყვანილი და წესდება დაცული.

33. თუ თავმჯდომარე, რაიმე მიზეზების გამო, თავის მოვალეობებს ვერ ასრულებს, მის უფლებებს იძენს და მის მაგიერობას სწევს მისი პირველი და შემდეგ მეორე ამხანაგი.

34. **გამგეობის** ყოველი წევრი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს **გამგეობის** სხდომებში და **კავშირის საერთო ყრილობებში**.

35. **გამგეობის** ცალკე წევრთა უფლებები და მოვალეობანი დაწვრილებით განმარტებულია **საერთო ყრილობის** მიერ დამტკიცებულ **გამგეობის** დებულებებში.

36. **შევარდენთა კავშირის** ტეხნიკურ საქმეებს, **გამგეობის** თვალყურის დევნით, განაგებს **კავშირის წურთნელთა ყრილობანი** და **გამგეობასთან** აოსებული **წურთნელთა საბჭო**, **კავშირის** ვარჯიშთავის თავმჯდომარეობით.

37. **წურთნელთა საბჭო** მუდმივი დაწესებულებაა. იგი შესდგება და მოქმედებს თანახმად **გამგეობის** მიერ გამოცემულ დებულებისა.

38. **წურთნელთა ყრილობანი** ინიშნებიან საჭიროების მიხედვით. ისინიც შესდგებიან და მოქმედებენ **გამგეობის** მიერ შემუშავებულ დებულებების მიხედვით.

39. **წურთნელთა ყრილობის** და **წურთნელთა საბჭოს** ყველა დადგენილებანი დამტკიცებულ უნდა იქმნენ **კავშირის გამგეობის** მიერ, გარდა წმინდა ტანვარჯიშულ საკითხებისა, რომელთაც საბოლოოდ სწყვეტს **წურთნელთა ყრილობა**, ან **წურთნელთა საბჭო**.

40. **სამხილარო კომისია** შესდგება სამ წევრისაგან, რომელთაც მორიგი **ყრილობა** ორი წლის ვადით ირჩევს. კომისია თვალყურს ადევნებს **გამგეობის** ფინანსიურ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმიანობას. იხილავს **გამგეობის** მიერ შედგენილ ანგარიშებს და იძლევა თავის დასკვნას მათ **საერთო ყრილობაზე** წარდგენამდე.

41. **კავშირს** აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით და შევარდენის გამოხატულობით, რომელსაც კლანჭებში ორბირთა და საქართველოს ღერბი უჭირავს.

42. **კავშირში** მყოფ საზოგადოებათა წევრთათვის **კავშირი** აწესებ განსაკუთრებულ საზეიმო ტანსაცმელს.

43. **კავშირს** აქვს თავისი დროშა.

44. **კავშირის** დახურვას და მისი ქონების ბედს **საერთო ყრილობა** სწყვეტს.

F 17894
43.007/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა